საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის 2024 წლის ანგარიში

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და შეუფერხებლად გაცემის შესახებ

სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი თავის საქმიანობაში კანონიერების საჯაროობის, გამჭვირვალობის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებზე დაყრდნობით, უზრუნველყოფს ინსტიტუტში არსებული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და შეუფერხებლად გაცემას.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებ-გვერდზე (www.sao.ge) და ასევე, საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ვებ–გვერდზე (www.sai.ge) სისტემატურად ქვეყნდება ინსტიტუტის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია და აღნიშნული მასალის გაცნობა ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

საანგარიშო პერიოდში ინსტიტუტში არ შემოსულა საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მოთხოვნა. შესაბამისად, არ ყოფილა საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნათა არდაკმაყოფილების ან მსგავს საკითხებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევები. ინსტიტუტის არც ერთ მოსამსახურეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის გამო არ დაკისრებია რაიმე სახის დისციპლინური სახდელი, ასევე არ ყოფილა საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნა.

საჯარო მონაცემთა ბაზებისა და პერსონალური მონაცემების შეგროვება-დამუშავებას ინსტიტუტი 2024 წლის განმავლობაში ანხორციელდებოდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების სრული დაცვით.